



ახალი განათლება

04-10.10.2018

№28 (822) გასული 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge



ახალი სკოლის კონსტრუქცია

ნებისმიერი განათლების უკან გავში და მასწავლებელი ღმას



აკტუალური თემა

დავად ქვეული გრიფირება

დანებითი საფეხების სახელმძღვანელოების გიფიფება ნიმუშია იმისა, თუ ჰოგოიი აი უნდა იყოს გიფიფების ჰოცესი. საუკეთესო მაგალითი უფვთ ნინ და ამის მიხედვით იმოქმედონ.

ანხმებ აუნავა

მაქვს ეითი ძალიან მაფიფო მოლოდინი, ჰომეციც დლითი დღე უფიფი და უფიფი სესტებვა და ამ მოლოდინს სამაჰილიანობის აღდგენა ჰქვია. ბოლოს და ბოლოს ოდესმე სომ უნდა დადგეს სამაჰილი. ჰეიოდელად, გვქონდა სოდმე ამ სისტემამი უამიავი გაუგებხომა, მაგ-ჰამ იმედი გვქონდა, ჰომ ნელს მაინც დაღაგებოდა ყველაფეი. სამნუნახოდ, ასე აი მოხდა. დაჰლუვევებს სამინისტრომაც აღიავებენ, თუმცა, შეცდომის აღიავება და დამნაშავეების დასვა ეითია, მაგამ მუოჰვა გამომცემლობებისთვის და ავტოჰებისთვის სამაჰილიანობის დადგომა, ჰაც, ვფიფიფობ, ყველაზე მთავაჰია ამ ჰოცესში. ეს უნდა მოხდეს სნაფად და ობიექტუჰად. ყველაზე სამნუნახოდ ჰოგონობი ისაა, ჰომ ვაჰგავთ ჰოფეხიონად მოქმედ ავტოჰებს, ვისაც ხელნითება ვაჰგი სახელმძღვანელო დანეჰოს (ავტოჰებისთვის ეს საქმიანობა აჰც ფინანსუნადაა მიმზიდველი და უკვე აღაჰც მოჰაღეჰად).

თამაჰი დებანიძე

ჩვენი სახელმძღვანელოების სეჰია "მე მიყვარს მათემატიკა" (I-VI კლ.) 100-ქელიანი შეფასების სისტემამი, 98 ქელით შეფასდა და ყველა ჰიჰეიჰიუმით ჰიჰველ ადგილზე გავიდა. საუკეთესო შედეგებით გახაჰებლებმა მაჰეჰეინგული კვლევები ჩავაგაჰეთ ქვეყნის მასშტაბით და 95.500 ჰოფენობის შეკვეთა მივიღეთ, ჰაც, ვფიფიფობთ, გიფიფის ნაჰთმევის ჰეაღეი მიზეზი გახდა - 25 ივლისს მონიჭებული გიფიფი, 10 დღის შემდეგ, 3 აგვისტოს ჩამოგვეჰითვა. ამას ყველაზე სამინელ სიზმარშიც კი ვეჰ ნაჰმოვიდგენდით, ჰადგან ასეთი ჰამ ნოჰმალეჰი ქვეყნებში აი ხდება. ჰასაჰეიჰველია, დავინყეთ მიზეზების ძიება და აღმოჩნდა, ჰომ თუჰმე გიფიფი ჩამოგვეჰითვა დღემდე გასაიდუმლოებული კონსულტანტის მიეჰ დანეჰილი დასავნის გამო.

თინათინ დიღებანიძე

გიფიფიფების ჰოცესში იმდენეჰე შეიცვალა თამაჰის ნესები, ჰომ საბოლოოდ აბუნადამდე მივედი.

ზუნა სიღეჰიანი

გვერდი 2

ინფორმაცია

გარისახოს, შატილისა და მალაროსკარის კანსიონებში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად ნარეგარტება



პროფესიული განათლება

მიზანი, რომელიც სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესებს აერთიანებს



ველაგოგთა დასახმარებლად



სწავლება კლას-კომპლექტში
ფასი - 10 ლარი



სამოღვლო გაცვეთილი
ფასი - 12 ლარი



ანთო ნაროჰილი
ბასტაბი მათემატიკაში
ფასი - 10 ლარი

დაკვიავიროდით: 599 88 00 73, 555 411 668, 593 300 264



ახს-ს მშვიდობის კორპუსი საქართველოში იწყებს სკოლების განახლების მიღებას 2019-2021 წლებში მოხალისეთა თანამშრომლობისთვის

მშვიდობის კორპუსის მოხალისეები, ჩვილები წელიწადი, წარმატებით ახორციელებენ განათლების პროექტს საქართველოს რეგიონებში.

კონკურსში შერჩეული სკოლები აპირებენ ინტეგრირდნენ ენის მასწავლებლებთან იმუშავენ 2019-2021 სასწავლო წლებში, ინტეგრირდნენ ენის სოციალური დონისა და სასწავლო პრაქტიკის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საჯარო სკოლებს შემდეგ რეგიონებში: კახეთი (ახმეტის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების გარდა), მცხეთა-მთიანეთი (სტაფანეისგან გარდა), ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, გურია, იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, რაჭა-ლეჩხუმი და სვანეთი. კონკურსში მონაწილეობა არ შეუძლიათ იმ სოფლებისა და ქალაქების სკოლებს, რომლებიც მდებარეობენ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის ანტიკონტროლურ ზონებში.

თუ თქვენი სკოლა მდებარეობს ჩამოთვლილი რეგიონებიდან ერთ-ერთში, ინტეგრირდნენ ენის მინიმალური საათობრივი გადამხარჯებით 24 საათს და დაინტეგრირდნენ ხართ მოხალისეთა თანამშრომლობით 2019-2021 აკადემიურ წლებში, აპლიკაცია მოიტხოვრეთ ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურსცენტრში ან მოიძიეთ ჩვენს ვებგვერდზე:

<https://www.peacecorps.gov/georgia/ask-for-a-volunteer/>

შეავსეთ და მოგვანათლეთ მშვიდობის კორპუსის ოფისში, მისამართზე ვაჟა-ფშაველას გამზირი 29ა, თბილისი, 0160 ან გამოგვიგზავნეთ ელექტრონული ფოსტით, მისამართზე: education@ge.peacecorps.gov

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

- **ასმათ სინარულიძე**
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595906444;
- **თომ ნაზარაძე**
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 591969881;
- **ია გელაშვილი**
განათლების პროგრამის ხელმძღვანელი
ტელ: 595950406;
- **ნინო ფიროსმანიშვილი**
პროგრამის და ტრენინგების სპეციალისტი
ტელ: 595027979.

მიაღწევთ თვალი ჩვენს ვებგვერდზე: **Peace Corps Georgia**

მოხალისის მოთხოვნის შევსებული ფორმის ჩაბარების ბოლო ვადაა 22 ოქტომბერი, 2018 წელი

საქალაქური თემა

დავად ქვეული გრიფირება

ლალი ჯალაძე

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინსპექტირების სამსახურის მიერ სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირების საკითხთან დაკავშირებული დასკვნა შემდგომი რეაგირებისათვის სამართალდამცავ სტრუქტურებს გადაეცა. საკითხის შესწავლის დასრულების შესახებ განცხადება სამინისტროში გამართულ ბრიფინგზე გაკეთდა. უწყების ცნობით, სამინისტროს ინსპექტირების სამსახურს დაევა პროცესის სრულყოფილად შესწავლა. ინსპექტირების სამსახურის მოკვლევის შედეგად არაერთი სხვადასხვა ხარისხის დარღვევა და ხარვეზი გამოვლინდა, თუმცა სწავლის დაწყებამდე ამაზე რეაგირება სახელმძღვანელოების სკოლაში დარიგების პროცესს შეაფერხებდა.

სამინისტროში ამბობენ, რომ გრიფირების შედეგად I-VI კლასების მოსწავლეებისთვის შინაარსობრივად, ვიზუალურად და ტექნიკურად გაუმჯობესებული სახელმძღვანელოები შეირჩა, თუმცა, აისახება თუ არა ინსპექტირების სამსახურის მოკვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები უკვე გრიფირებულ სახელმძღვანელოებზე – გაუქმდება გრიფირებული კონკრეტული სახელმძღვანელო ან მიენიჭება ახალს, ამის შესახებ სამინისტროში ჯერჯერობით არაფერს ამბობენ. ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი **მარიამ ჩიქობავა**, ჩვენთან საუბრისას, ამბობს, რომ გამორიცხული არაფერია: „გაჩნია რას დაადგენს საბოლოო ჯამში გამოძიება. ამ ეტაპზე კი გამიჭირდება რაიმეს დადასტურება ან უარყოფა, თუმცა, თეორიულად ამის შესანიშნავი არსებობს, ყოველ შემთხვევაში, არ გამოვრიცხავ. ეს ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა ტიპის დარღვევები აღმოჩნდება.“

მინისტრის ყოფილი მოადგილე, **თეიმურაზ მურულუიამ**, სამინისტროს მიერ გრიფირების თემაზე ჩატარებულ ბრიფინგთან დაკავშირებით, იმავე დღეს, საჯარო განცხადება საკუთარ ფეისბუქგვერდზე გაავრცელა, სადაც ამბობს, რომ აუდიტის დასკვნის სამართალდამცავ ორგანოებში გადაგზავნის ფაქტი, მისთვის, ავტომატურად არ გულისხმობს (თუმცა არც გამორიცხავს) შესაბამისი პრობლემების არსებობას. მისივე თქმით, სხვებზე მეტ ინფორმაციას ფლობს გრიფირების პროცესის ხარვეზებზე და მზადაა შესაბამის ორგანოებთან თანამშრომლობისათვის. გრიფირების პროცესის განხორციელებაში მის მიერ ინიცირებულ და მთავრობის მიერ მხარდაჭერილ ცვლილებებს კი, მინისტრის ყოფილი მოადგილე ბიუჯეტის ხარჯების, სულ მცირე, 14 მილიონი ლა-

რით შემცირებას უკავშირებს და ამის დამადასტურებელი დოკუმენტების სამინისტროში არსებობაზე მიუთითებს. ყველაზე მეტად კი ამ პროცესში ის აღელვებს, რომ საჯარო მოხელეების დემოტივირების რეალურ რისკს ხედავს. „დაუსვენებლად მიმანია, ადამიანებს გადაწყვეტილების მიღებისა და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმისგან თავის შეკავების საფუძვლად ლეგიტიმური მიზეზები ჰქონდეთ, თავიანთი კოლეგების არც თუ სასიამოვნო გამოცდილების სახით.“ – წერს თეიმურაზ მურულუია.

რას ფიქრობენ თავად გამომცემლები დავად ქვეული სახელმძღვანელოების გრიფირებაზე და რა ტიპის დარღვევებს აწყდებოდნენ პროცესში, როგორია მათი მოლოდინი სამართალდამცავი სტრუქტურების შემდგომ რეაგირებაზე, ამის შესახებ საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს გრიფირების პროცესში აქტიურად ჩართული რამდენიმე გამომცემელი.

თამარ ლებანიძე, გამომცემლობა „დიოგენეს“ დირექტორი: „ვფიქრობ, ეს ქაოსი გამონეველია კომუნიკაციის ნაკლებობით, ზედა მმართველ რგოლებსა და ქვედა – შემსრულებელ რგოლებს შორის. შემსრულებლები, გარკვეული თვალსაზრისით, გამომცემლობები და ავტორებიც არიან. ჩვენ პროცესის პარტნიორები ვართ და თუ ჩვენ შორის დიალოგი არ იქნა, ამ პროცესს არა მხოლოდ ფინანსური მოსაზრებებით გამოეთიშება ბევრი კარგი ავტორი და გამომცემლობა, არამედ იმიტომაც, რომ სისტემა არ არის სანდო და დალაგებული, ძალიან ბევრი კითხვის ნიშნია, ამ შეკითხვებს აუცილებლად პასუხი უნდა გაეცეს, თან, რაც შეიძლება მალე.“

მაქვს ერთი ძალიან მკაფიო მოლოდინი, რომელიც დღით დღე უფრო და უფრო სუსტდება და ამ მოლოდინს სამართლიანობის აღდგენა ჰქვია. ბოლოს და ბოლოს ოდესმე ხომ უნდა დადგეს სამართალი. პერიოდულად, გვექონდა ხოლმე ამ სისტემაში უამრავი გაუგებრობა, მაგრამ იმედი გვექონდა, რომ წელს მაინც დალაგდებოდა ყველაფერი. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. დარღვევებს სამინისტროშიც აღიარებენ, თუმცა, შეცდომის აღიარება და დამნაშავეების დასჯა ერთია, მაგრამ მეორეა გამომცემლობებისთვის და ავტორებისთვის სამართლიანობის დადგომა, რაც, ვფიქრობ, ყველაზე მთავარია ამ პროცესში. ეს უნდა მოხდეს სწრაფად და ობიექტურად. ყველაზე სამწუხარო პროგნოზი ისაა, რომ ვკარგავთ პროფესიონალ მოქმედ ავტორებს, ვისაც ხელეწიფება კარგი სახელმძღვანელო დაწეროს (ავტორებისთვის ეს საქმიანობა არც ფინანსურადაა მიმზიდველი და უკვე აღარც მორალურად). ჩვენ ვასაჩივრებთ 15 და 17 ავტორებს გრიფირების ბრძანებებს გარკვეულ ნაწილში, კონკრეტულ წიგნებთან დაკავშირებით, სადაც სერიოზულ ნინაღმდეგობებს და დარღვევებს

ხედავთ. საჩივარი შევიტანეთ როგორც საქართველოს მთავრობაში, როგორც სამინისტროს შემდგომ ვერტიკალში, ასევე, პარალელურად, მივმართეთ სასამართლოსაც. რეალურად, ადმინისტრაციული წესით, დავის დროს ეს საკითხი იმავე სახელისუფლებო შტოში (ამ შემთხვევაში – აღმასრულებელ ხელისუფლებაში), საქართველოს მთავრობაში უნდა გაიჩვენა. არ არის გამორიცხული, რომ მთავრობამ ისევე სამინისტროს დაავალოს საკითხის შესწავლა და შედეგად გამომცემლობების და ავტორების დარღვეული უფლებების აღდგენა. ეს ყველაზე სასურველი სცენარია – სამინისტრო თავად გაერკვეს საქმეში და აღადგინოს სამართლიანობა. სამინისტრო ამბობს, რომ ჩასაღები სამართალდამცავ სტრუქტურებს გადაეცემა, რასაკვირველია, თვალყურს მივადევნებთ და შევეცდებით, მოვითხოვოთ პირველადი დოკუმენტაცია, რის საფუძველზე გაჩნდა სისხლის სამართლის დანაშაულის არსებობის ეჭვი.

ამის გარდა, ჩვენ კონკრეტულ შემთხვევაზე – ისტ-ის სახელმძღვანელოს შესახებ – გვაქვს მოპოვებული დარღვევის ამსახველი მასალები, რომელიც სამხარაულის ბიუროშია გადაგზავნილი ექსპერტიზაზე. რაღაც ტიპის გარიგებები იკვეთება და ცალსახად ვფიქრობთ, რომ კონკრეტული სახელმძღვანელოსთვის გრიფის მინიჭება სწორედ ამ გარიგებებს შეეხება. თუნდაც, ეს ერთი კონკრეტული შემთხვევა ადასტურებს, რომ სისტემიდან ჟონავდა ინფორმაცია. მაგალითად, განსახილველად ჩაბარებული წიგნები (მასალა), დაახლოებით, ერთი თვის შემდეგ, კონკურენტების (სისტემის გარეშე პირების) ხელში აღმოჩნდა. ეს ძალიან სერიოზული დარღვევაა, ვიტყვით, უმთავრესიც კი. ამის უკან რა ინტერესთა კონფლიქტი დგას, ნაკლებად მაინტერესებს, რადგან ჩემთვის უმთავრესია მასალა იყოს დაცული და ობიექტურად განხილული. ყველაფერთან ერთად არაკომპეტენტურობაც იკვეთება.

სისტემა უნდა მონესრიგდეს, ამოვარდეს ზედმეტი რგოლები, მაგალითად, სახელმძღვანელოების მკვლელების საჯარო განხილვა, რაზეც ბევრი დრო დაიხარჯა ფუჭად, დაახლოებით, ერთი თვე დაეთმო; ასევე, უნდა შეიცვალოს შეფასების კრიტერიუმების რაოდენობა. კრიტერიუმები დამაბნეველი არ უნდა იყოს ექსპერტებისთვის, რომლებიც კარგად მომზადებული და ნინასნარ დატრენინგებული უნდა იყვნენ, რომ სწორად შეფასება შეძლონ. კომპეტენციებთან ერთად, მათ გუნდური მუშაობის უნარებიც უნდა ჰქონდეთ. ძალიან ხშირი იყო შემთხვევა, როცა ექსპერტების შეფასებებს შორის იყო რადიკალური განსხვავება, რაც აჩენს ეჭვს, რომ ექსპერტს გარკვეული ინტერესი ამოძრავებს; გასაზრებელია

ახალი სკოლის კონსტრუქცია

პროექტი ვერ არ განხორციელდება.

სკოლის თვითშეფასების მოდელის პროექტის პილოტირებას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი 15 სკოლაში ახორციელებს, შემდეგ აუცილებლად ყველა სკოლაზე უნდა გავრცელდეს, რადგან დირექტორმა უნდა შეძლოს პრიორიტეტების გამოყოფა, თავისი სკოლის სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება და შემდეგ მის გაუმჯობესებაზე მუშაობა. დირექტორი ერთპიროვნული მმართველი არ უნდა იყოს სკოლაში, სადაც შიშით და ძროხით მოძრაობენ მასწავლებლები და მოსწავლეები (ბოდიშს ვიხდი ამ გამოთქმისთვის, მაგრამ ვიცი, რომ ხშირ შემთხვევაში ეს ასეა). დირექტორების მიერ საკუთარი სკოლის სიჯანსაღის შეფასება შესაძლებლობას მოგვცემს, რეალურად დავინახოთ რა ადამიანური რესურსი და დრო დაგვჭირდება იმისთვის, რომ ყველა სკოლა დავფაროთ.

ძალადობის ფაქტორზე, რომლებიც სკოლებში ხდება, ერთმნიშვნელოვნად დირექტორია პასუხისმგებელი. თუმცა, იმიტომ, რომ პასუხისმგებელია, მან არავითარ შემთხვევაში მართლმართ არ უნდა იმოქმედოს, ასეთი ქმედება უშედეგო იქნება, ჭკვიანი და უნარიანი დირექტორი შეძლებს, შექმნას თანამშრომლობითი გზაუფები, რომლებზეც გადაინანილებს მოსწავლეებზე პასუხისმგებლობებს.

გასაძლიერებელია დამრიგებლის ინსტიტუცია, რადგან დამრიგებელია ზუსტად ის ადამიანი, რომელიც იგებს (უნდა იგებდეს) ზოგადად კლასის და კონკრეტული მოსწავლის შესახებ ყველა ინფორმაციას. სულ პატარა გულგრილობაც კი შეიძლება ძალიან ცუდი შედეგით დამთავრდეს. დამრიგებელი მუდმივ კონტაქტში უნდა იყოს მშობელთან და თანამშრომლობდეს მასთან. რასაკვირველია, სკოლის შიგნით უნდა არსებობდეს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ჯგუფებს შორის თანამშრომლობას და ინფორმაციის გაცვლას, პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვას ძალადობისა და სხვა მიმართულებით.

ახალი სკოლის მოდელში, ცხადია, განახლებულია მეთოდოლოგია. ამ შემთხვევაში საპილოტე პროექტი ერთ-ერთ სკოლაში, III-IV კლასებში დაიწყო, მეორე ნაწილი კი უფრო მეტი რაოდენობის სკოლას მოიცავს, რომელთა შერჩევაც 2019 წელს მოხდება. პილოტირების მეორე ეტაპზე დაგეგმილია, დაახლოებით 50 სკოლის ჩართვა, რაც, თავისთავად, მოიტანს იმას, რომ გაჩნდება მათთან ერთად შექმნილი მოდელი. იმედი მაქვს, ყოველი ახალი პილოტი მოგვცემს ახალ მასალას, რომელსაც მასწავლებლები, საკონსულტაციო ჯგუფის დახმარებით, შექმნიან და შემდეგ დანარჩენი მასწავლებლები გამოიყენებენ რესურსად.

მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ის რესურსი, რომელიც უკვე შექმნილია სისტემაში. ხშირად გვესმის მასწავლებლებისგან და დირექტორებისგან, რომ ელექტრონული რესურსი არ აქვთ ნაფიქროს, ამიტომ გადაწყვიტეთ შექმნათ პორტალი, სადაც აიტვირთება არაერთი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ შექმნილი ელექტრონული რესურსი, რომლის გამოყენებასაც ნებისმიერი ადამიანი შეძლებს. ეს იქნება შემცვენი ხასიათის ტექსტები, კონკრეტული ინსტრუქციები, შეიძლება საგაკვეთილო გეგმებიც იყოს, მოხდება რესურსის კატეგორიზაცია. საბოლოო ჯამში, გვინდა მივალნოთ იმას, რომ მასწავლებელმა, სახელმძღვანელომ გარდა, სხვა რესურსიც გამოიყენოს საგაკვეთილო პროცესში. პორტალი უშუალოდ მოსწავლეებმაც ისარგებლონ, მოძებნონ საჭირო ინფორმაცია, რადგან ძალიან ხშირად ვიკიპედიის იქით ვერ მივდივართ ხოლმე (ესეც მესმის, რადგან კიდევ სხვა უნარები და დრო სჭირდება, ამოარჩიონ სანდო რესურსი იმ უამრავიდან, რაც ინტერნეტსივრცეში არსებობს). ამ პორტალს ჩვენ ვუყურებთ, როგორც ერთ-ერთ ძალიან მნიშვნელოვან რესურსს,

სახელმძღვანელოს შემდეგ.

სახელმძღვანელოს წერა ზოგადად პრობლემაა, პრობლემა იყო დანებებით საფუძვრზეც, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ახალი სახელმძღვანელოები, რომელიც შევიდა სკოლებში, იმაზე უკეთესი იქნება, ვიდრე ადრე გვექონდა, რადგან მათ შექმნაზე ძალიან დიდი დრო დახარჯეს ავტორებმა. მაინც ვიტყვი, რომ, ზოგადად, სახელმძღვანელოები ასე მარტივად არ იწერება. საერთოდ, ჩვენს ქვეყანას აქვს გამოცდილება, როგორ შექმნას მოცემული მეთოდოლოგიის შესაბამისი სახელმძღვანელო, შესაბამისად, ოდნავ გაუმჯობესებული სახით ვიღებთ ხოლმე ახალ სახელმძღვანელოებს, მაგალითად, შეიძლება იცვლებოდეს ილუსტრაციები ან რაღაც ტიპის დავალებები. მაგრამ უმნიშვნელოვანესია რეალურად რა შეგვაქვს კლასში, რა კითხვებს ვსვამთ ან რა დავალებებს ვაძლევთ მოსწავლეს, რა წერია სახელმძღვანელოში ისეთი, რომ მოსწავლის აზროვნება და ფიქრი სწორი მიმართულებით წარმართოთ; არის თუ არა ის აწყობილი კითხვა-პასუხზე, დებატებსა და მსჯელობაზე. ამიტომ აქვს ნებისმიერ მასწავლო რესურსს ძალიან დიდი მნიშვნელობა, მით უმეტეს მამინ, როცა მასწავლებელი, ძირითადად, მხოლოდ სახელმძღვანელოს მიჰყვება და სხვა დამხმარე რესურსს ნაკლებად იშვებებს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი რაზეც მინდა ყურადღების გამახვილება, ლაბორატორიები, ვირტუალური ლაბორატორიები და სხვადასხვა ელექტრონული რესურსია. „ათასწლეულის გამოწვევის ფონდ – საქართველოს“ დახმარებით, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოდულურ ვებ-პორტალზე, სამი უკვე მზადაა, ახლა საგნობრივი მოდულები მუშავდება. საუბარია „ხანის აკადემიასა“ და სხვა რესურსებზე, რომელიც ჩვენს ტრენინგებში მრავალადა გამოყენებული და სიმულაციებითა და სხვადასხვა სახის ელექტრონული რესურსებით მოსწავლეს უკეთ უხსნის ამა თუ იმ თემას, განსაკუთრებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში – სხვადასხვა კანონსა თუ მოვლენას. ამ მიმართულებით სკოლების მხარდაჭერა აუცილებლად მოხდება, და განსაკუთრებით იმ სკოლების, სადაც ლაბორატორიები ცუდ მდგომარეობაშია. მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა შეძლონ ექსპერიმენტული ნაწილისა და პროექტზე დაფუძნებული სწავლების, როგორც მეთოდოლოგიის დანერგვა. ჩვენი ექსპერიმენტული დახმარებით, შესაძლებლობა მოგვცვა გავცნობოდათ იმ ტიპის ექსპერიმენტებს, რომელიც ძალიან მარტივად შეიძლება ჩატარდეს საკლასო ოთახში ან სკოლის ეზოში, ამისთვის მხოლოდ სურვილია საჭირო. შეიძლება ლაბორატორია უმალდეს დონეზე არ იყოს აღჭურვილი, მაგრამ ბევრმა მასწავლებელმა არაღაბორატორიულ გარემოშიც შეძლოს ცდის ან ექსპერიმენტის ჩატარება.

თავისთავად გვერდს ვერ ავუვლი სახელფასო პოლიტიკაზე საუბარს, რადგან უამრავი კითხვა სწორედ ხელფასებთან დაკავშირებით გაისმის. ცხადია, სახელფასო პოლიტიკა, ისევე და ისევე, ორიენტირებული იქნება შედეგებზე დაფუძნებული ნახალისების სისტემაზე, სადაც მასწავლებლები იმის გამო, რომ რაღაცას უკეთესად აკეთებენ, მეტ ანაზღაურებას მიიღებენ.

ისეთ სასტარტო პირობებში, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით, უნდა არსებობდეს მასწავლებლების პროფესიული განვითარებისა და დიფერენცირებული სახელფასო პოლიტიკის ასეთი სისტემა, მაგრამ, შესაძლოა, ათი წლის შემდეგ, ეს სულაც აღარ იყოს საჭირო, აღარც ის საფუძვრობრივი კიბე, რომელიც ახლა გვაქვს და სავალდებულოა მასწავლებლისთვის. შესაძლოა იყოს „ტოპ“ მასწავლებელი, რომლის ხელფასი ამჟამინდელი მეთიხე კატეგორიის მასწავლებლის ხელფასს გაუტოლდება (სწორედ აქეთ მივდივართ). თუმცა, ვიმეორებ, დღეს არსებული სისტემა

გვეჭირდება და, ვერჯერობით, არაფერი შეიცვლება. ამავდროულად, აუცილებლად უნდა ვიფიქროთ და ვიმსჯელოთ მექანიზმებზე, რომელიც იმ მასწავლებელს შეეხება, ვინც მინიმალურ სტანდარტსაც ვერ აკმაყოფილებს. ჩემი აზრით, დირექტორებმა, დაკისრებული პასუხისმგებლობების გარდა, თავის თავზე უნდა აიღონ სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებლობაც, მათ ეს ბერკეტი უნდა მიეცეთ. ამიტომაც, ამ მიმართულებით, ძალიან სერიოზულად უნდა ვიმუშაოთ, რადგან არ შეიძლება სკოლის დირექტორს, ერთი მხრივ, ვთხოვდეთ ყველაფერს და, მეორე მხრივ, არ ვაძლევდეთ არანაირ ბერკეტს ადეკვატური რეაქციის მოსახდენად.

აუცილებლად მინდა შევეხო საგანმანათლებლო რესურსცენტრებს – თავის დროზე, როცა ისინი შეიქმნა, მოიაზრებოდა, როგორც სისტემის დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი ფლამანი და მნიშვნელოვანი ორგანო. თუმცა, წლებმა აჩვენა, რომ რესურსცენტრები მხოლოდ ინფორმაციის შეგროვებისა და გადაცემის ორგანოებად იქცნენ. ამიტომაც მნიშვნელოვანია მათი გაძლიერება როგორც ადამიანური რესურსის თვალსაზრისით, ისე სხვა მექანიზმებით. მათ უნდა შეძლონ გარკვეული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. ვერ წარმოიდგენთ, სამინისტროში რამდენი წერილი შემოდის, მაგალითად, ბავშვის სკოლიდან სკოლაში გადაყვანის თაობაზე. ვერც კი ჩამოვთვლი კიდევ რა საკითხებზე გვეწერენ. დამერწმუნეთ, პრობლემა წერილების ნაკითხვაში კი არა, იმ დროსა და პროცესებშია, რასაც წერილი გადის, ჩვენამდე რომ მოაღწიოს. ამ დროში კი, რაღაც ფუჭდება.

იგივე შემთხვევა ვთქვა სკოლების რეაბილიტაციის მიმართულებითაც. მაგალითად, რეგიონის რომელიმე სკოლას ქარმა სახურავი გადაახადა – გამოვიკვლიე რა დრო და გზა სჭირდება, რომ ამ საკითხზე რეაგირება მოხდეს. დავთვალე და დაახლოებით, ორი კვირა დასჭირდა ინფორმაციის საბოლოო ადრესატამდე მოსვლას – შეტყობინებამ რომ ჩვენამდე მოაღწიოს და პასუხი უკან დაბრუნდეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ ხნის განმავლობაში, სკოლას გადახდილი სახურავით უნებს ფუნქციონირება – რასაკვირველია, ესეც სერიოზული პრობლემაა. ამიტომ, ახალი გეგმის მიხედვით, რეაბილიტაციის ნაწილი მუნიციპალიტეტების დონეზე გადავა და სწორედ მათ უნდა აიღონ თავიანთ თავზე რესურსიც და პასუხისმგებლობაც მსგავსი პრობლემების მოგვარებაზე. სკოლის დირექტორებისთვის ძალიან რთულია, ერთდროულად, სამინისტროსთან და მუნიციპალიტეტთან მუშაობა. ახალი გზა უფრო მარტივი და სწრაფი იქნება რეაგირებისთვის. ამის გარდა, ბევრი მიმართულებით ვგეგმავთ პასუხისმგებლობების დელეგირებას. ცხადია, სადაც მეტად წარმატებულები ვიქნებით, სადაც – ნაკლებად, დირექტორებშიც გვხვდება განსხვავებები, ზოგს უფრო სწრაფად და ეფექტურად შეუძლია გადაწყვეტილებების მიღება, ზოგს კი – ნაკლებად, მაგრამ, პროცესი რომ დასაწყებად ფაქტია. წინ ძალიან საინტერესო და სერიოზული მუშაობა გველოდება. სწორედ ეს პროცესი გახდება შემდეგში სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველი.

იმედ მაქვს, სისტემაში დაგროვილი კარგი გამოცდილებით და იმ ახალი ხედვებით, რაზეც ვისაუბრე, საშუალება მოგვცემა სწრაფი ნაბიჯები გადავდგათ თქვენთან, დირექტორებთან, ერთად, რადგან დრო აღარ იცდის. ძალიან უნდა ავქაჩავდეთ, თუმცა სიჩქარეში, როგორც უკვე აღვნიშნე, უმნიშვნელოვანესი არ უნდა დავივიწყოთ – ნებისმიერი გადაწყვეტილების უკან ბავშვი და მასწავლებელი დგას. მინდა დირექტორები ამ განწყობით ნახვიდეთ აქედან და თქვენ ხელთ არსებული რესურსი მაქსიმალურად გამოიყენოთ თქვენი სკოლის და მთლიანად სისტემის გასაუმჯობესებლად.

ინფორმაცია

ბარისახოს, შატილისა და მალაროსკარის კანსიონებში სასწავლო პროცესი შეუფერხებლად წარიმართება

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ბატიაშვილის ინიციატივით, სოფელ ბარისახოს, შატილისა და მალაროსკარის პანსიონებში სამინისტროს დაექვემდებარება, რაც სკოლა-პანსიონის მოსწავლეებს განათლების დაუბრკოლებლად მიღების შესაძლებლობას მისცემს.

მინისტრის თქმით, არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე უწყვეტი განათლების მიწოდება თითოეული მოსწავლისთვის.

თვის. სწორედ ამიტომ, მისი ინიციატივით, ზემოთ აღნიშნული პანსიონები სამინისტროს სამართლებრივ და სამეთვალყურეო რეგულაციებში მოექცევიან.

მიხეილ ბატიაშვილმა აღნიშნული გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული პანსიონები „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებს დაექვემდებარა და მათი მუშაობა დროებით შეჩერდა. ამით კი, ხელი

შემშალა მოსწავლეთა სასწავლო პროცესში ჩართვას.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აუცილებლად მიიჩნევს, ახლო მომავალში შემუშავდეს პოლიტიკა ზოგადი განათლების მიღებისთვის აუცილებელი სპეციალური სკოლა-პანსიონების მიმართულებით, რათა უზრუნველყოფილი იყოს მაღალმთიან და შორეულ რეგიონებში მცხოვრები მოსწავლეების განათლების მიღების შესაძლებლობა შესაბამისი პირობების შექმნით.



„არაფერია იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე უწყვეტი განათლების მიწოდება თითოეული მოსწავლისთვის“
მიხეილ ბატიაშვილი

სამოქალაქო განათლების

„მოგზაურობა აფრიკაში“ ანუ რთული გზა ფუნქციურ სოციალიზაციას

ეროვნულმა სასწავლო გეგმამ თანამედროვე სკოლას მართლაც დაუახლოვებინა დიმიტრი უზნაძის ცნობილი აზრი: „სწავლაში ძირითადი მნიშვნელობა იმ პროდუქტს კი არა აქვს, რომელსაც იგი კონკრეტული ჩვევის ან კონკრეტული მინიარსის მქონე ცოდნის სახით გვაძლევს, არამედ განსაზღვრული მიმართულებით მოსწავლის ძალების განვითარებას“. აქვე აღნიშნულია, რომ მისი მთავარი პრინციპია მოსწავლის შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს მოსწავლეთა აღჭურვას ქმედითი ცოდნით, ე.ი. მომზადებას პრაქტიკული ნიჭის დახვეწის და დაძლევისა და წარმატების მიღწევისათვის. ასევე, საგნობრივი სტანდარტი განსაზღვრავს კონკრეტულ საგნობრივ კომპეტენციებს, რომელთაც უნდა დაეუფლოს მოსწავლეები დასახული მიზნების მისაღწევად. საგნობრივ სტანდარტში აღწერილი კომპეტენციები მოიცავს სამი კატეგორიის ცოდნას:

ა) დეკლარატიულს, ანუ სტატისტიკური ხასიათის ცოდნას, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ცოდნის პროცედურულად გამოყენებას;

ბ) პროცედურულს, ანუ დინამიკურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა; პროცედურული ცოდნის ათვისება მრავალჯერადი გავარჯიშების გზით ხდება;

გ) პრობლემურ ცოდნას, ანუ ფუნქციურ ცოდნას, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას (ეს.გ.თ.ი). აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკა სწორედ ამ მოთხოვნების შესაბამისად უნდა დაგეგმოს. მაგალითად, IX კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში პროგრამით გათვალისწინებული ნუგზარ შატაიძის მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“ შეიძლება მოსწავლის ცოდნის მრავალმხრივი განვითარების შესანიშნავ საშუალებად გამოვიყენოთ.

მოთხრობაში ავტორი ერთ კომპოზიციურ მთლიანობაში საინტერესოდ შლის რამდენიმე თემას:

1. ომი, როგორც ადამიანის მიერ შეთხზული ყველაზე უზნეო აქტი;
2. აღკვეთილი, ნარკოტიკები და მათზე დამოკიდებულების სინდრომი;
3. ბავშვთა უფლებების იგნორირება საზოგადოებაში;
4. აღზრდა და მასთან დაკავშირებული სირთულეები;
5. მორალური ღირებულებების ინტერპრეტირება;
6. მოზარდის სულიერ სამყაროში მიმდინარე პროცესები და ა.შ.

მოთხრობას 5 აკადემიური საათი ეთმობა, თუმცა ჩვენს პრაქტიკაში ტექსტს II, III და IV გაკვეთილები დაეუთმებ, პირველი და ბოლო გაკვეთილები უშუალოდ ტექსტის გააზრებას არ ეთმობა – პირველი ამზადდება მათ ტექსტისთვის, ხოლო ბოლო გაკვეთილები თავიანთი ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენებს.

სტატიაში ვისაუბრებ იმ საკითხებზე, რომელთა გარეშეც მოთხრობის შესწავლა ზერწყვეტი და სტატისტიკურია. პირველი გაკვეთილის თემა იყო ომი, ბავშვი და საზოგადოება. ომის, როგორც უამრავი სხვა პრობლემის მბადი მოვლენის, შეფასება მნიშვნელოვანია ტექსტის გააზრებისათვის. მოსწავლე-

ებს 2 კვირით ადრე შევთავაზე, ნაკითხით „ანა ფრანკის დღიურები“, ასევე, ნახეს ვიდეო და ფოტომასალა, როგორც ანა ფრანკის, ასევე პირველ და მეორე მსოფლიო ომებსა და თანამედროვე საომარი დაპირისპირების პირობებში მოზარდების შესახებ. ამიტომაც ომით მიღებული შთაბეჭდილებები ცოცხალი და დინამიკური იყო.

გაკვეთილის მიზანი:

1. მოსწავლემ შეძლოს ომის, როგორც ნეგატიური აქტის, გააზრება, ომის შედეგებისა და ბავშვის მდგომარეობის არგუმენტებით შეფასება;
2. ბავშვის უფლებათა კონვენციის რამდენიმე მუხლის გაანალიზება;
3. გააცნობიეროს ბავშვების როლი სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაში;
4. გადმოსცეს თავისი არგუმენტირებული აზრი ომისა და მშვიდობის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის შესახებ;

დაურიგდათ ამონარიდები ბავშვის უფლებათა კონვენციიდან, კერძოდ, ნაწილი 1-ის მუხლები: 3. 6. 9. 10. 20. 22. 24. 28. 31. 32. 38. აღნიშნული მუხლები შევარჩიე ნიშნებით, რომლებიც აუცილებლად ირღვევა საომარი მოქმედებების დროს და მათზე პასუხისმგებლობას თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროშიც კი არავინ იღებს.

მოსწავლეებს ვთხოვე, ემსჯელათ, მათი აზრით, ყველაზე მეტად რა პრობლემებს უქმნის მოზარდებს ომი და რომელი ფუნდამენტური უფლებები ირღვევა ყველაზე ხშირად, რა თანამდევნი მოვლენები ახლავს მოზარდის ფუნდამენტური უფლებების დარღვევას საომარი ვითარების დროს?

სამუშაოდ გამოვიყენე „სემინარული მეთოდი“ (იხ. სემინარული მეთოდი <http://mastsavlebeli.ge/?p=2457>), რომელიც ჯგუფებად დაყოფილ მოსწავლეებს აძლევდა საშუალებას, თითოეულს გამოეთქვა აზრი და ამავდროულად, თანამშრომლობის საფუძველზე ერთად მოეძებნათ გამოსავალი მოცემული რთული ვითარებიდან. არგუმენტებად, ძირითადად, იყენებდნენ ანა ფრანკის ცხოვრების ეპიზოდებს, საომარ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების პირობებს ადარებდნენ თავიანთ რეალობას, მსჯელობდნენ განათლების, ჯანმრთელობის, დასვენების, გართობის, ოჯახში მშობლებთან ყოფნის უმნიშვნელოვანეს უფლებებზე, რომლებსაც ომი ართმევს მოზარდებს. მეორე ეტაპზე „მორფოლოგიური ყუთის“ (იხ. მორფოლოგიური ყუთი <http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/01>) მარცხენა მხარეს მათ უნდა შეეცნათ, სემანტიკური რუკის გამოყენებით, შეთანხმებული პრობლემათა ჩამონათვალი, ხოლო მარჯვენა მხარეს უნდა ჩამოეყალიბებინათ პრობლემის მოგვარების გზა/გზები, რომლებიც დაიცავდა ბავშვის უფლებებს, მისცემდა მათ თავისუფალი განვითარების შესაძლებლობას. ამ გაკვეთილზე მათი მიგნებები იყო ძალიან საინტერესო, კრეატიული, თუმცა თეორიული, მხოლოდ კეთილ ნებაზე დაფუძნებული, მარტივი და ზოგადი. ხოლო II, III და IV გაკვეთილების დასრულების შემდეგ, რაც შეისწავლეს მოთხრობა „მოგზაურობა აფრიკაში“, V გაკვეთილზე მათ მიერ

მორფოლოგიურ ყუთში განთავსებული პრობლემათა გადაჭრის საშუალებები არ ჩამოუყარებოდა პოლიტიკოსების მიერ შემუშავებულ დოკუმენტებს, შეადგინეს დოკუმენტი/რეზოლუცია გაეროში წარსადგენად. დავალეობად ჰქონდათ ისეთი დოკუმენტის შედგენა, რომელსაც უნდა მიეცა ერებისთვის (მხარეებისთვის) თავისუფალი, მშვიდობიანი თანაცხოვრების პრესპექტივა. შედგენილი დოკუმენტი/რეზოლუცია ითვალისწინებდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას მეტად ლოგიკურ, მშვიდობიან, გრძელვადიან, მაგრამ რეალურ პერსპექტივაში.

შუა – II, III და IV გაკვეთილები, დაგეგმილი იყო იმ პრობლემური საკითხების შესახებ მსჯელობით, დისკუსიით, რომლებიც მრავლად ტექსტში და იძლევა ურთიერთდაკავშირების, შედარების, ანალიზისა და დასკვნის შესაძლებლობებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მხატვრული ტექსტი არ იქცევა მოსწავლისათვის დეკლარატიული ცოდნის ობიექტად, არამედ მოსწავლე იძენს პროცედურულ, ანუ დინამიკურ ცოდნას, რომელიც ცოდნის გამოყენების, რეალიზების საშუალებას იძლევა, ჩვენ შემთხვევაში ეს იყო დოკუმენტი/რეზოლუცია გაეროში წარსადგენად. ხოლო მომავალში კი ჩემი მოსწავლეები მზად არიან, მიიღონ პირობისეული, ანუ ფუნქციური ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას, ე.ი. ჩემი მოსწავლეები, სულ მცირე, არასდროს იქნებიან ომის ინიციატორები, რადგან გაცნობიერებული აქვთ, რომ არ არსებობს უფრო დიდი უბედურების მბადი აქტი, ვიდრე ომი; შეეცდებიან არ დაარღვიონ სხვისი უფლებები, რადგან მათ უკვე იციან თავიანთი უფლებების შესახებ. ისინი უკვე არიან მოქალაქეობრივად მოაზროვნე ადამიანები.

ყველა ამ საკითხზე უდიდესი ინტერესით ვიმუშავეთ მე და ჩემმა მოსწავლეებმა, რომლებმაც სხვადასხვა საკითხზე მსჯელობისას, მუშაობის პროცესში მნიშვნელოვნად გამზარდეს მე, როგორც მასწავლებელი და მოქალაქე.

გთავაზობთ ნუგზარ შატაის მოთხრობის „მოგზაურობა აფრიკაში“ 5-საათიანი ციკლის V გაკვეთილის გეგმას, რომელიც შესაძლოა, გამოიყენოთ თქვენს პრაქტიკაში.

თამარ ქუთათელაძე
სსიპ ქალაქ თბილისის №128 საჯარო სკოლის
ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვის უფლებათა კონვენცია <https://matsne.gov.ge/ka/dokument/view>
2. ეროვნული სასწავლო გეგმა. კარი I – სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების ადმინისტრაციული და კონცეპტუალური საკითხები;
3. თანამშრომლობითი სწავლების მეთოდები. სემინარული მეთოდი <http://mastsavlebeli.ge/?p=2457>
4. მორფოლოგიური ყუთი <http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/01>

გაკვეთილის გეგმა №5

მასწავლებელი, გვარი, სახელი: თამარ ქუთათელაძე
სწავლების საფეხური/კლასი: საბაზო/IX-1
მოსწავლეთა რაოდენობა:

თემა: ნუგზარ შატაიძე – „მოგზაურობა აფრიკაში“

მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სადავო თვალსაზრისების მოსმენა და ჩართვა დისკუსიაში; განახორციელოს ცოდნის ტრანსფერი და შექმნას ახალი დამოუკიდებელი დოკუმენტი მასწავლის მასალის გათვალისწინებით; შეარჩიოს აუდიტორიასთან ურთიერთობის შესაბამისი სტილი; გაამდიდროს ცოდნა ომისა და მშვიდობის მოპოვების გზების შესახებ.

კავშირი მსგ-სთან:

- ქართ. IX.1. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე.
- ქართ. IX.2. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიის მონაწილეთა მეტყველების მოსმენა და შეფასება საკომუნიკაციო ამოცანისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.
- ქართ. IX.3. მოსწავლეს შეუძლია მსჯელობა განსხვავებული ტექსტების ენობრივ თავისებურებებზე.
- ქართ. IX.9. მოსწავლეს შეუძლია სადავო ან პრობლემურ საკითხებზე საკუთარი თვალსაზრისის წერილობით გადმოცემა; მოცემულ საკითხზე განსხვავებული შეხედულებების შეჯამება.
- ქართ. IX.11. მოსწავლეს შეუძლია წერილობითი ტექსტის ფორმისა და სტილის შერჩევა მიზნისა და აუდიტორიის გათვალისწინებით.
- ქართ. IX.12. მოსწავლეს შეუძლია დაიცვას წერილობითი ტექსტის სტრუქტურა და ენობრივი ნორმები.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	საორგანიზაციო საკითხები – სიის ამოკითხვა. გაკვეთილის მიზნის, შეფასების კრიტერიუმების გაცნობა.		საკლასო		2წთ
2	საშინაო დავლების ანალიზი (იმსჯელები, შეიძლება თუ არა მოთხრობას სხვაგვარი ფინალი ჰქონოდა? რა შემთხვევაში მოხდებოდა ასე? როგორ შეიძლება ავიცილოთ ომი, როგორც ყველაზე დიდი საფრთხე კაცობრიობისათვის?) კითხულობს 2 მოსწავლე. აუცილებლად აღმოჩნდება განსხვავებული მოსაზრების მქონე მოსწავლე/მოსწავლეები, რომლებსაც გაუჩნდებათ ნაკითხვის სურვილი, მასწავლებელი ლოგიკურად გადავა მეორე აქტივობაზე.				46წთ

3	მასწავლებელი უსვამს მოსწავლეებს კითხვებს ომსა და მშვიდობისათვის ასოცირებულ რამდენიმე ტერმინთან დაკავშირებით: რა არის პაციფიზმი, რეზოლუცია, გაერო, ნი-თელი ჯვარი, ოკუპაცია? განავრცობს და ავსებს მოსწავლეების პასუხებს და ურიგებს ტერმინთა განმარტებებს. აძლევს 4 ჯგუფებად დაყოფილ კლასს დავლებას – შესწავლილ მოთხრობაზე დაყრდნობით დავებმართო საკუთარ თავს, სხვა ბავშვებს, მთელ ერს (არსებული ორი კონფლიქტის გათვალისწინებით) და დღევანდელ მსოფლიოს, თავიდან ავიცილოთ ომი, როგორც ყველაზე დამანგრეველი მოვლენა. ამისათვის წარმოვიდგინოთ, რომ უნდა შევქმნათ დოკუმენტი/რეზოლუცია გაეროში წარსადგენად. დოკუმენტი უნდა აძლევდეს ერებს (მხარეებს) თავისუფალი მშვიდობიანი თანაცხოვრების პერსპექტივას (ცოდნის ტრანსფერი). მასში დამაჯერებლად და არგუმენტირებულად უნდა აისახოს მშვიდობის გარდაუვალობა და უპირატესობა (დოკუმენტი უნდა შედგებოდეს 50-100 სიტყვამდე).	დოკუმენტის შექმნა	ჯგუფური	ფლიპჩარტი, მარკერი, დაფის მაგნიტი	15წთ
4	დოკუმენტის (რეზოლუციის) პრეზენტაცია (თითო ჯგუფი 3წთ).	პრეზენტაცია	პრეზენტატორი ჯგუფის მხარდაჭერით	ფლიპჩარტი, დაფა, მაგნიტი	12წთ
5	მოიფიქრეთ სლოგანი (ფრაზა ან 1 წინადადება), რომელსაც გაუგზავნიდით ოკუპირებული აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიებზე მცხოვრებ თანატოლებს. მოსწავლეები წარადგენენ სლოგანებს და მოკლედ ასაბუთებენ მათ აქტუალობასა და ეფექტურობას. მასწავლებელი დაფაზე წერს ყველა სლოგანს და სთავაზობს მოსწავლეებს, მათზე დამატებით მუშაობის და დახვეწის შემდეგ გაუგზავნონ დღევანდელ გაკვეთილზე შექმნილი მასალა საქართველოს პარლამენტს და იძულებით გადაადგილებულთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს.	სინთეზი	ჯგუფური	რვეული, კალამი	8წთ

სამოქალაქო გაკვეთილი

Table with 5 columns: No., Description of activity, Location, Duration, and Date. Row 6: შეჯამება: მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს ბარათებს...

გაკვეთილის აქტივობების შედეგები:

მოსწავლე მოისმენს სადავო თვალსაზრისებს; ჩაერთვება დისკუსიაში და დიკციას წესებს; განახორციელებს ცოდნის ტრანსფერს და შექმნის ახალ დამოუკიდებელ დოკუმენტს...

შედეგების კრიტერიუმები:

დოკუმენტის პრეზენტაციის შედეგების რუბრიკა

Table with 2 columns: Criteria and Score. Rows include: პირობათან შესაბამისობა (0-1), იცავს დროის ლიმიტს (0-1), იცავს პირობის შინაარსობრივ მოთხოვნებს (0-0, 5-1)...

საუბრაო ლიტერატურაზე

სისფერი ყანებით დაღებული ქართული სიტყვის საღებრძელო

მოდერნიზმს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირი გამოხატულება ჰქონდა. დასავლურ სამყაროში მოდერნიზმული მიმდინარეობები შემდეგი თანმიმდევრობით აღმოცენდა: სიმბოლიზმი -> ექსპრესიონიზმი -> ფუტურიზმი -> დადაიზმი; საქართველოში მან განსხვავებული ქრონოლოგიით (რიგობით) იჩინა თავი, კერძოდ: სიმბოლიზმი -> დადაიზმი -> ფუტურიზმი -> იმპრესიონიზმი -> ექსპრესიონიზმი.

საქართველოში, 1900-იან წლებში, მოდერნიზმის ე.წ. „მეექვსე“ ქუთაისი იყო თავისი შემოქმედებითი ელიტით. 1918 წლის 26 მაისის (საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე) შემდეგ შემოქმედებითმა, საზოგადოებრივმა ცენტრმა თბილისში გადმოინაცვლა. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ თბილისის რეგიონში კულტურის მონინავე ცენტრის სტატუსი შესძინა.

ქართული ავანგარდული ხელოვნება თბილისურ ავანგარდატაც კი იწოდებოდა, რადგან ცნობილია, რომ მოდერნიზმი ქალაქური კულტურის ნიალიდან იმავ. თბილისი, ყოფილი რუსეთის იმპერიის ფარგლებში, კულტურული პერიფერიის ადგილი აღიარებდა. აქ თავს აფარებდნენ რუსეთის ბოლშევიკურ რევოლუციასა და სამოქალაქო ომს გამოქცეული ხელოვანები. ამ დროს საქართველოს დედაქალაქში გადმოიხვეწნენ: ალექსეი კრუჩონიხი, სერგეი ესენინი, ვლადიმერ მაიაკოვსკი, სერგეი სუდეიკინი (რუსეთის საიმპერატორო კარის ყოფილი მხატვარი). მან კლუბ „ქიმიკონის“ მოხატვა პაოლო იაშვილის თხოვნით დაიწყო. სუდეიკინთან ერთად „ქიმიკონზე“ მუშაობდნენ კირილე ზდანევიჩი, პოლონელი სიგიზმუნდ ვალიშევსკი, ლადო გუდიაშვილი, დავით კაკაბაძე, მამა-შვილი - მოსე და ირაკლი თოიძეები, კონსტანტინ ბალონტი და სხვ.

კლუბი „ქიმიკონი“ მდებარეობდა რუსთაველის თეატრის ახლანდელ ქვემოთა ფოიეში. ის 1919 წლის 28 დეკემბერს (კვირა დღეს), „ცისფერყანელთა“ ინიციატივით, გაიხსნა. კედლები ფრესკული პრინციპით მოიხატა. ეს კლუბი იმდროინდელ მოაზროვნეთა თავშესაფარს და აზრთა გაცვლა-გამოცვლის ადგილად იქცა. ამიტომაც ანიჭებდნენ ასეთ დიდ ყურადღებას მის არა მარტო შინაარსობრივ მხარეს, არამედ გარეგნული ეფექტებიც მნიშვნელოვან ფაქტორად მიაჩნდათ. ლადო გუდიაშვილის მოგონებებში ვკითხულობთ:

„ყველა გატაცებით მუშაობდა. სუდეიკინის მიერ მოხატული მარცხენა ჩასასვლელის მოპირდაპირე კედელზე მე „სტუკოს ღუქანი“ და „დარაჯი მელა“ დაეხატე. დარაჯის შიდა კედელი დაფარული იყო დავით კაკაბაძის ნახატებით, რომელთაც საერთო თემა ჰქონდათ - გაზაფხული. დანარჩენი კედლები კირილე ზდანევიჩმა და პოლონელმა მხატვარმა სიგიზმუნდ ვალიშევსკიმ მოხატეს“.

საქართველოში მოდერნიზმი მაშინ განვითარდა, როცა ევროპაში დასრულდა და რუსეთში რღვევა განიცადა, ანუ მე-20 საუკუნის 10-იანი წლებიდან. ეს იყო ქართულ მწერლობაში

„ევროპეიზაციის“ პროცესი. ამ პერიოდში განვითარდა ლირიკულ-ეპიკური ჟანრები, როგორებიცაა: რომანი, ნოველა, მინიატურა, ვერლიბრი, ესკიზი, ეტიუდი, ჩანახატი, სურათი, ანეგდოტი და სხვ.

სიტყვისა და მუსიკის კულტი გამეფდა, სილამაზეს არასტანდარტულად წარმოაჩინდნენ, აღმერთებდნენ ბოჰემურ ცხოვრებას, დენდით ჩატყულები დადიოდნენ; ერთი სიტყვით, მოდის ამინდს ქმნიდნენ. ბგერისა და სიტყვის რიტმის მეშვეობით (და არა სიტყვის დენოტაციური, ანუ აზრობრივი მნიშვნელობით), სიტყვის მნიშვნელობას ძველად გასაგებს ხდინდნენ, აზრს აბუნდოვებდნენ, ამოუცნობობის ეფექტს სძენდნენ. სიმბოლისტები სიკვდილისა და სიმბინჯის აპოლოგეტებად (მაქებრებად, განმადიდებლად) მოგვევლინენ. მათთვის მისტიკური ცხოვრება იყო საინტერესო, ამიტომაც მწუხრი და დაისი, მთვარის ნათება უფრო საინტერესო იყო, ვიდრე დღე და ნათელი (განსხვავებით ილიას თაობისგან); თავიანთ შემოქმედებას ელიტარულად აცხადებდნენ და არც ჰქონდათ პრეტენზია, რომ მასობრივი ხასიათის ყოფილიყო ან ყველასათვის მისაწვდომი და გასაგები გამხდარიყო. თავიანთი შემოქმედების მთავარი პრინციპიც შესაბამისი ჰქონდათ: „ხელოვნება ხელოვნებისთვის!“ ისინი „ხოტბას ასხამდნენ ბოჰემას, ლოთობისა და სიკვდილის კულტს. „ცისფერყანელებმა“ პოეზიის დროშად ბუნდოვანობა და ქიმერები აღიარეს, სილამაზის ადგილი სიმბინჯეს დაუთმეს, ჯანსაღ აზროვნებას დაუპირისპირეს ავადმყოფური, გიჟური რობა“ (ჭილაია 1954:16-17).

აღსანიშნავია, რომ ვიდრე „ცისფერყანელები“ სიმბოლისტურ სკოლას ჩამოყალიბებდნენ (თავისი თეორიული წერილებით, მანუფესტებით, მხატვრული შემოქმედებით), საქართველოში არ არსებობდა ლიტერატურული სკოლა საკუთარი პლატფორმითა თუ პროგრამით. ქართველი სიმბოლისტები მიიჩნევდნენ, რომ ეს მიმდინარეობა ნიღბის ფილოსოფია იყო, რომელსაც „უყვარდა თეატრალიზაცია ცხოვრების“. ისინი ცდილობდნენ, საქართველო უსაზღვრო „მეოცნებე ქალაქად“ გადაექციათ, სადაც განმეზღილი ხალხი ცისფერი ტაძრის გზას დაადგებოდა.

„ცისფერყანელთა“ ლიდერი, შემოქმედებითი მოძღვარი და მეტრი დასავლეთ-აღმოსავლეთის კულტურებს ნაზიარები გრივოლ რობაქიძე იყო. მისმა ლექციებმა ნიცშესა და ფრანკლანდ პოეზიაზე სიახლის სურვილი გაუღვივდა მეამბოხე ახალგაზრდებს. „პირველად იმან შეგვახვედრა იოჰანანის მოჭრილ თავს, - წერდა ტიცვანი ტაბიძე, - პირველად იმან მოგვასმენინა ნიცშეს მწვალებელი სიტყვა“.

როგორც ცნობილია, სიმბოლისტური სკოლის მიზანი სიმბოლოთა მეშვეობით უხილავი, მიუწვდომელი, იდუმალი სამყაროს საიდუმლოს წვდომა იყო, რომელიც ასევე თვალსაჩინოს გახდოდა ადამიანის შინაგანი სამყაროს (მდგომარეობის) პერიპეტეებს. ქართველი სიმბოლისტები, გარდა ამისა, მიზნად ისა-

ჯგუფურ მუშაობაზე დაკვირვების კრიტერიუმები განმარტებული შეფასებისათვის

Table with 4 columns: Activity description, Duration, and Date. Rows include: ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია (დიახ/არა/წინააღმდეგობა), ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს, ჯგუფის წევრები თანამშრომლობენ (აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები), ჯგუფი პასუხობს შეკითხვებს, არგუმენტირებულად ასაბუთებს მოსაზრებას, ჯგუფი იცავს დროის ლიმიტს.

ტირმინთა განმარტება

პაციფიზმი არის ომზე, როგორც სადავო საკითხების გადაწყვეტის საშუალებაზე, უარის თქმა ომის ხასიათისა და მიზნების გაუთვალისწინებლად. პაციფისტები ეწინააღმდეგებიან განმათავისუფლებელი ომების შესაძლებლობასაც კი იმ მოტივით, რომ ყოველგვარ ომს ადამიანური მსხვერპლი მოჰყვება. ეს არის მსოფლმხედველობა, რომელიც დედამიწაზე მშვიდობის დამყარებას მოითხოვს.

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) - საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წელს.

რეზოლუცია - კოლექციური ორგანოს სხდომაზე ამა თუ იმ საკითხის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება.

წითელი ჯვრის საერთაშორისო მოძრაობა საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციაა, რომელსაც საფუძველი 1863 წელს ჩაეყარა, დაჭრილთა დახმარების საერთაშორისო კომისიის შექმნასთან ერთად. თავდაპირველად ის შემოიფარგლებოდა ბრძოლაში დაზარალებულ ომის მონაწილეთათვის დახმარებით. შემდგომში ამ ორგანიზაციის საქმიანობა მშვიდობიან მოსახლეობაზეც გავრცელდა.

სიმბოლოდ შერჩეულ იქნა წითელი ჯვარი თეთრ ფონზე (შვეიცარიის დროშის ფერების ინვერსია). 1906 წელს, ოსმალეთის იმპერიაში, წითელი ჯვრის ანალოგიით, შეიქმნა საქველმოქმედო ორგანიზაცია „წითელი ნახევარმთვარე“ მუსულმანური ქვეყნებისათვის.

ტერმინი საერთაშორისო წითელი ჯვარი ხშირად გაუგებრობის მიზეზი ხდება, ვინაიდან ამ ოფიციალური სახელით რამდენიმე ორგანიზაცია არ არსებობს. რეალურად, მოძრაობა შედგება რამდენიმე ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორგანიზაციისგან, თუმცა მათ აერთიანებთ საერთო ზოგადი პრინციპები, მიზნები, სიმბოლოები და მმართველი ორგანოები. მოძრაობის შემადგენელი ნაწილებია: წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი, წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საერთაშორისო ფედერაცია, ეროვნული წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის საზოგადოებები.

ოკუპაცია რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებით დაკავებას ნიშნავს. ოკუპაცია უნდა გავიფიქროთ ანექსიისგან, რომელიც ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა ქვეყნის სრულ ან ტერიტორიის ნაწილის ძალით მიერთებას გულისხმობს.

ინფორმაცია

შეხვედრები ოლიმპიადაში გამარჯვებულ მოსწავლეებთან

27 სექტემბერს, ტექნოპარკში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი **მიხეილ ბატიაშვილი** საერთაშორისო და რეგიონულ ოლიმპიადაებში მონაწილე და გამარჯვებულ მოსწავლეებს შეხვდა, მეცნიერების განვითარებაზე და ამ პროცესში ახალგაზრდების როლზე ესაუბრა.

შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში წარიმართა, მინისტრმა, მოსწავლეებთან ერთად, მიმდინარე გამოწვევები განიხილა. მიხეილ ბატიაშვილი ახალგაზრდებს დაჰპირდა, რომ მეცნიერების პოპულარიზაციისთვის ახალი იდეების გენერირება და პროექტები მათი ჩართულობით განხორციელდება, რადგან საქართველოს მეცნიერების წარმატებულ მომავალზე ზრუნვა სწორედ მათ ხელშია.

„თქვენ ხართ ჩვენი ქვეყნის „ოქროს ფონდი“, ყველაზე ძვირფასი, რაც გავაჩნია. დავინდობთ ზრუნვა ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ მომავალზე, პრესტიჟის ამაღლებასა და პოპულარიზაციაზე. სხვანაირად, ქვეყნის წარმატება წარმოუდგენელია“, – მიმართა მინისტრმა ტექნოპარკში შეკრებილ მოსწავლეებს.

ახალგაზრდებთან საუბრისას მიხეილ ბატიაშვილმა ხაზი გაუსვა, რომ ქვეყნის განვითარებაში მათ უზარმაზარი როლი ენიჭება. სწორედ ამიტომ, სამინისტრო ყველაფერს გააკეთებს მათი პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენის, განვითარებისა და რეალიზებისთვის, რადგან ქვეყნის განვითარების პროცესებში მათი ჩართულობა სასიცოცხლოდ აუცილებელია.

მინისტრის თქმით, მეცნიერებაზე, როგორც ქვეყნის სტრატეგიულ პრიორიტეტზე, ზრუნვა ყოველდღიურ რეჟიმში განხორციელდება. შესაბამისად, მოსწავლეებთან შემდეგი შეხვედრა უახლოეს მომავალში შედგებოდა.

„მართლაც მნიშვნელოვანი შეხვედრა გვექონდა ჩვენს ყველაზე წარმატებულ მოსწავლეებთან და ვფიქრობთ, რომ ყველა პირობა უნდა შევუქმნათ იმისთვის, რომ მომავალში გახდნენ

წარმატებული მეცნიერები. ამისთვის, სამინისტროს მხრიდან, ყველაფერი გაკეთდება, რომ ამ ბავშვებს შევუწყობთ ხელი.“ – განაცხადა შეხვედრის დასასრულ მიხეილ ბატიაშვილმა.

რა შთაბეჭდილება დარჩათ შეხვედრის მონაწილე მოსწავლეებს და როგორ აფასებენ დასახულ მიზნებს – გათვალისწინებული იქნა ნაკრების წევრების მოსაზრებებს:

ზურაბ ჯაში: „შეხვედრა, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმიტომ, რომ მინისტრთან ერთად რეალურად განვიხილეთ, რა პრობლემებია განათლების სისტემაში და არა მარტო. რაც მახარებს არის ის, რომ ამ შეხვედრაზე სრულად წარმოჩინდა, რა როლი ენიჭება მეცნიერებას ქვეყნის განვითარების პროცესში. ვილაპარაკეთ, ასევე, იმ პრობლემებზე, რომლებიც სწორედ მეცნიერების განვითარების მხრივ არის საქართველოში. დავსახეთ მიზნები, როგორ აღმოვფხვრათ ისინი (იქნება ეს პოპულარიზების მიმართულებით არსებული პრობლემები თუ განვითარების, ლაბორატორიების აღჭურვისა თუ მეცნიერების მომზადების მხრივ). გადავწყვიტეთ, ჩამოვყალიბოთ კოლექტიური გუნდი, რომელიც, იდეების გენერირებისა და შემდგომ მათი იმპლემენტაციის მეშვეობით, მოგვარებს ამ პრობლემებს“.

ანა თოიძე: „შეკრება საკმაოდ საინტერესო და, პირველ რიგში, მოტივაციის მომცემი იყო ჩემთვის, რადგან შეხვედრით მინისტრს და მისგან შევითქვეთ ისეთი პროექტების არსებობის შესახებ, რაზეც წარმოუდგენია კი არ მქონდა. კარგი იქნებოდა, ეს შეხვედრა თუნდაც ორი წლის წინ რომ ჩატარებულიყო.“


ჩემთვის, ასევე, ძალიან საინტერესო იყო თანატოლებთან დაკავშირება, კომუნიკაცია, რადგან აქამდე არ ვიცნობდი, თუნდაც, ფიზიკის ნაკრების წევრებს ან სხვა ბავშვებს, რომლებიც დაინტერესებული არიან მეცნიერებით. ეს კავშირები, რა თქმა უნდა, მომავალში, დიდ როლს ითამაშებს ჩემს ცხოვრებაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო კომუნიკაცია იმ ადამიანებთან, რომლებმაც უცხოეთში ისწავლეს, მათი გამოცდილების გაზიარება.

მთავარი ისაა, რომ ჩვენ, ვინც აქ ვართ შეკრებილი, ვინც დაწვრილებით ვიცით განათლების სისტემაში არსებული პრობლემები, გვაქვს გამოცდილება ამ სფეროში, საერთო შემართებით, ერთიანი იდეებით მოვაშაბდეთ პროექტებს. იმედი მაქვს, ეს შეხვედრა ერთჯერადი არ იქნება, განმეორდება და მინისტრიც დაეხსრება, შეგვიწყობს ხელს, რომ ჩვენმა ერთობლივმა ძალისხმევამ, რამდენიმე ხანში, შედეგი გამოიღოს“.

გელა ბატიაშვილი: „ვილაპარაკეთ საერთაშორისო ოლიმპიადაებთან დაკავშირებულ პრობლემებზე და აგრეთვე, საქართველოში, მეცნიერებაში და, ზოგადად, განათლებაში არსებულ პრობლემებზე. მინისტრმა შემოგვთავაზა გარკვეული გზა – დაიგეგმება შეხვედრები, რომლებზეც ამ პრობლემებს უფრო სერიოზულად ჩამოვყალიბებთ, გავაანალიზებთ და ვეცდებით, გადავჭრათ. ასევე შემოგვთავაზა, რომ ჩვენ, როგორც ოლიმპიელებმა, ვიფიქროთ გარკვეულ პროექტებზე, რომლებიც ჩვენს სამომავლო წარმატებასაც განაპირობებს და ქვეყანასაც წაადგება“.

დავით რიჟინაშვილი: „სხვა, ძველი შეხვედრებისგან განსხვავებით, ეს შეხვედრა საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და პირადად ჩემი გადმოსახედიდან, ბევრად უფრო მიზანმიმართული იყო და შედეგსაც გამოიღებს, რადგან უფრო დიდი სურვილი დავინახე მინისტრისგან, მართლა დაგვეხმაროს და რაღაც კარგი გააკეთოს ოლიმპიური ნაკრებისთვის. ამ შემთხვევაში, მთავარი მიზანი ის იყო, რომ ყველა ნაკრების წევრს, სათითაოდ, გვეთქვა, რა პრობლემები გვაქვს და რაში გვჭირდება დახმარება, საერთოდ რისი გაკეთება გვინდა იმისთვის, რომ მომავალი ნაკრები განვითარდეს და უკეთესი შედეგი მივიღოთ არა მხოლოდ ოლიმპიადაებში, არამედ ჩვენს მომავალ საქმიანობაში.“

მინისტრმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ფოკუსირება უნდა მოვახდინოთ არა მხოლოდ ოლიმპიადაებზე, არამედ ჩვენს მომავალ



ცხოვრებაზე და რომ ზუსტი მეცნიერებები ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის, თუ რას გავაკეთებთ მომავალში. რაც შეეხება შედეგს, რომელსაც ეს შეხვედრა გამოიღებს, დარწმუნებული ვარ, მალე გამოჩნდება. ეს არ იყო უბრალოდ ერთი შეხვედრა, იქნება კიდევ რამდენიმე, როცა უკვე ზუსტად ჩამოვყალიბდებით, როგორ გავავრცელოთ მუშაობა, რა ვაკეთოთ მომავალში და ზუსტად რაში დავგეხმარება ბატონი მინისტრი, მთლიანად სამინისტრო. პირადად მე მიმაჩნია, რომ დღეს შედეგიანი შეხვედრა იყო, ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება“.

უახლოეს მომავალში დაგეგმილი შეხვედრა ორშაბათს, 1 ოქტომბერს გაიმართა. მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობის პროცესში და დაიწყეს იმ საკითხების დამუშავება, რომლებსაც მინისტრის მიერ დაინიშნული განათლების რეფორმა მოიცავს. ოთხსაათიანი მუშაობის შემდეგ, ახალგაზრდებმა მინისტრს და განათლების ექსპერტებს პრეზენტაციები წარუდგინეს და, პრობლემების გარდა, ის რეკომენდაციები წარმოაჩინეს, რაც, მათი აზრით, სწავლა/სწავლების პროცესს გააუმჯობესებს, მოსწავლეებს მოტივაციას აუმაღლებს, მეცნიერებით დაინტერესებს და ხელს შეუწყობს მათ წარმატებულ მომავალს.

შეხვედრის ბოლოს, მიხეილ ბატიაშვილმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდებისგან ბევრი საინტერესო, დროული იდეა მოისმინა და რომ შემდეგი შეხვედრები უკვე თითოეული ინიციატივის განხილვას და ამ იდეების სამოქმედო გეგმაში გადატანას დაეთმობა. „მოვისმინეთ სწორი და დროული იდეები, ინიციატივები, რომლებიც განვიხილეთ და ამ იდეებსაც გადავიტანთ სამოქმედო გეგმებში. თქვენთან ერთად ვინცერთ სწორი ნაბიჯების გადადგმას, თქვენთან ერთად შევექმნით საერთაშორისო დონის ქართულ მეცნიერებას“.

საჩუქარი ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით

„დიდი ამბები გრძელდება. დღეს გორში, ოკუპაციის ხაზთან მდებარე სოფელ მერეთში სკვერი-ბიბლიოთეკა მოვანწყვეთ.“ – ეს ჩანაწერი **გიორგი კეკელიძის** ფეისბუქგვერდზე გაჩნდა.

ოკუპაციის ხაზთან მდებარე გორის რაიონის სოფელ მერეთის ბავშვებმა, ახალ სასწავლო წელთან დაკავშირებით, არაჩვეულებრივი საჩუქარი მიიღეს სკვერი-ბიბლიოთეკის სახით. მათ წიგნები საჩუქრად ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორმა, გიორგი კეკელიძემ, თანამოაზრეებთან ერთად, ჩაუტანა. ბავშვები დიდი ინტერესით და სიხარულით ჩაეჭიდნენ წიგნებს და იქვე დაიწყეს კითხვა, რათა თავიანთი საყვარელი ლიტერატურული გმირების შესახებ უფრო მეტი გაეგოთ და გაცნობოდნენ ლამაზ ილუსტრაციებს.

სამწუხაროდ, ეს ყველაფერი ოკუპაციის ხაზთან გაუთავებელი სამხედრო წერტილების, ტყვია-ნაშლის და ჭურვების აფეთქების ფონზე ხდებოდა. მიუხედავად ამისა, ბავშვები უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ.

მსგავსი ბიბლიოთეკები უკვე გაიხსნა ანაკლიაში, ნიჭოზა და დიკში, მომავალში მოეწყობა – ტყაიაში, მეჯვრისხევასა და ორსანტიაში. დაგეგმილია, ასევე, ლექციები, კონცერტები და დისკუსიები.

რევაზ თოფურიანი



სპორტი

ოლიმპიადას იუბა დახურავს

დასასრულს უახლოვდება ბათუმში მიმდინარე მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის დასრულება...

თის ძლიერ გუნდთან ფრედ, 2:2 ითამაშეს. თუმცა იმ დღეს ჩვენმა ორმა ნაკრებმა მოიგო...



ევროპის სპორტის კვირეულმა, რომელსაც საქართველო წელს პირველად მასპინძლობს...

#BeActive



საქართველოს რაგბის კავშირმა ამ დღეებში ჩინებული საჩუქარი გაუკეთა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მორაგბეთა კლუბს...

საქართველოს რაგბის კავშირმა ამ დღეებში ჩინებული საჩუქარი გაუკეთა ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანის მორაგბეთა კლუბს...

„დიდი ბედნიერებაა, როდესაც გადიხარ თბილისის გარეთ - რეგიონებში, სოფლებში და იქ ხედავ ბავშვებს, რომლებიც ეზიარნენ რაგბის სვედები ადამიანებს...

ახალგაზრდული თავყრილობა ბუენოს აირესში

6 ოქტომბერს, შორეულ ბუენოს აირესში, სტარტს აიღებს მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშები...

მა კი ამჯერად ვერ შეძლეს საგზურის მოპოვება. რაკი ჭიდაობაში გოგონები არ გვყავს, ჩვენთვის გამოიკალის დაუშვებს და ორივე კვოტა ბიჭებზე მოგვცეს...



ბრინჯაო კი - მეოთხეზე გასულ იტალიელს. ამით იტალიამ გუნდურ ჩათვლაში მცირედით გადაგვასწრო და ის საგზურიც მათ დარჩათ, ჩვენ კი ჩამოგვერთვა...



სასწავლო პროექტები
ნიგონი მოსახლეობისთვის

11 ლარი

ქართული
ნიგონი შვიდი წლის ასაკის ბავშვებისთვის

11 ლარი

პროფესიული უნარები
ნიგონი მოსახლეობისთვის

15 ლარი

ტესტების კრებული
ნიგონი მოსახლეობისთვის

15 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რეპერტუარი

4 ლარი

ინტერაქტიული მეთოდების კრებული

6 ლარი

კითხვების გავიანთების კორექტორი

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი 2017

5.50 ლარი

სწრაფი დაწესებულების კვალი

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები

6.50 ლარი

მასწავლებლის ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა საბაზისური გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გადამამტყუნებელი ფენის ქვეშ მოთავსებულია უნიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც განთავსებულია გამოცდის მონაწილეთა ოფიციალურ ვებგვერდზე fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიქმნა ჩაბარების რეგისტრაციის მიხედვით, ასევე შერეულად.

თითო კრებულის ფასი - 10.90 ლ

არაპარტულენოვანი სკოლების კვალი

პროფესიული უნარები
ყველაფერი უყარისა და უყარისა

პროფესიული უნარები
Cavabları ilə önəmli suallar

პროფესიული უნარების მოსახლეობისთვის

ფასი - 9 ლარი

ნაბიჯი და მომინი აბაჯი

სერია შედგენილია I-VI კლასების მოსწავლეებისთვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცდისთვის.

სერიის ფასი - 32.40 ლ

ქართული ენის კრებულები

ერთი წლის ასაკის ბავშვებისთვის

სერიის ფასი 17.70 ლ

„ინტერაქტი“ და „არტანუჯი“ მთავარ კითხვებში

პროფესიული უნარები
ინტერაქტი

პროფესიული უნარები
არტანუჯი

პროფესიული უნარები
ინტერაქტი

პროფესიული უნარები
არტანუჯი

19 ლარი (ერთი ტომი)

ქართული ენის გრამატიკა

7 ლარი

ქართული ენის გრამატიკა

8 ლარი

ქართული ენის გრამატიკა

4 ლარი

ქართული ენის გრამატიკა

12 ლარი

ბიოლოგია

6 ლარი

ფიზიკა

10 ლარი

ფიზიკა

10 ლარი

„ახალი ბანათემა“ და „ლიგანა“

„ახალი ბანათემა“ და „ლიგანა“ ახალი ბანათემა და „ლიგანა“ ახალი ბანათემა და „ლიგანა“

39.90 ლარი

ტესტები ქართულ ლიტერატურის საბაზისური და პროფესიული გამოცდებისთვის

ტესტი I
V-XVIII საუკუნეების მწერლები

ტესტი II
XIX საუკუნის მწერლები

ტესტი III
XX საუკუნის მწერლები

თითო ტომის ფასი 13 ლარი

12

10 ლარი

ბიოლოგია

10 ლარი